ა (ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

27.06.2012 №82

თბილისი

სტუ-ს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2012 წლის 20 ივნისის №04.04.106/25 წერილის (რეგ. №76-01-807 25.06.2012) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2012 წლის 12 ივლისს 15 საათზე.
2. არჩევნებში მონაწილე მეცნიერ-თანამშრომელთა რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 27 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით, 10 საათიდან – 17 საათამდე (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა), ინსტიტუტის შენობაში.
3. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

ა (ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

22.06.2012 № 78

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულების და ინსტიტუტის საერთო კრების 2012 წლის 15 ივნისის სხდომის №1 ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2012 წლის 2 ივლისს 12 საათზე.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო არჩეულ იქნას 7 მეცნიერ-თანამშრომლის შემადგენლობით.
3. არჩევნებში მონაწილე მეცნიერ-თანამშრომელთა რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 22 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით, 10 საათიდან – 17 საათამდე (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა), ინსტიტუტის შენობაში.
4. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე